

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და სამართლიანი სასამართლოს
უფლების ქმედითობის პერსპექტივები

სალომე კალანდაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

[Type here]

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე კალანდაძე

2020 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო ფუნქციონირება. ის დემოკრატიის განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმია, რაც თავის თავში გულისხმობს საზოგადოების მეტ ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. სწორედ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს - თუ რა ხარვეზებია ამ კუთხით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მ-6 მუხლს (განაჩენის დასაბუთებულობის ნაწილში) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომლის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები არ ასაბუთებენ გამამტყუნებელ ვერდიქტს. **კვლევის მეთოდოლოგია:** აღნიშნულ ნაშრომში კვლევისთვის გამოყენებული იქნება აღწერით/მიმოხილვითი და სისტემური მეთოდები. პირველი კონცეფცია საშუალებას გვაძლევს აღვწეროთ საკვლევი საკითხი თავისი მახასიათებლების გამოვლენითა და ცნებების ანალიზით. ხოლო სისტემური მეთოდების გამოყენება, თეორიული პრინციპებისა და დებულებების ერთობლიობით, საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ და დავამუშავოთ სამართლის ნორმები. ასევე გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ სხვა ქვეყნების პრაქტიკა აღნიშნულ საკითხის მიმართ. **კვლევის შედეგები:** დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რამდენიმე ნორმას აქვს ხარვეზი და საჭიროებს ცვლილებას. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით სარგებლობა (ბრალდებულის უფლება და განსჯადობის საკითხები), როგორც კონსტიტუციით დაცული უფლება, უშუალოდ უნდა გაიწეროს კონსტიტუციის ტექსტში, რათა სამომავლოდ კანონმდებლობაში მარტივი ცვლილების გზით არ მოხდეს ამ უფლების არსისა და ბუნების შეცვლა/დაკარგვა. შესაბამისად, ეს არ უნდა გულისხმობდეს კანონმდებლის შეუზღუდავ ძალაუფლებას. შესაბამისად, ის აუცილებლად შებოჭილი უნდა იყოს კონსტიტუციური წესრიგით და, პირველ რიგში, ფუნდამენტური უფლებებით. ასევე, დადგინდა, სპეციალური ვერდიქტის აუცილებლობა, რომლის დროსაც მოსამართლე განსაზღვრავს ვერდიქტის ფორმას, სადაც იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთა

[Type here]

გამოკვლევა აუცილებელია საქმის გადასაწყვეტად, კითხვებია ჩამოწერილი. ნაფიც მსაჯულებს უწევთ პასუხი გასცენ ამ კითხვებს, რაც ვერდიქტს შედარებით დასაბუთებულს ხდის. შესაბამისად, ასეთი სახის ვერდიქტი უკვე დასაბუთებულობის სტანდარტს მინიმალურ დონეზე აკმაყოფილებს და შესაბამისად, ტაქსკეს კრიტერიუმებში ჯდება. იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები დაკმაყოფილდეს, ბრალდებულმა და, ფაქტობრივად, საზოგადოებამ უნდა შეძლოს გაიგოს განაჩენი, რომელიც გამოტანილია პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის დასამტკიცებლად; ეს სასიცოცხლო გარანტიაა თვითნებობის წინააღმდეგ. კანონის უზენაესობა და თვითნებობის თავიდან აცილება კონვენციის ფუძემდებლური პრინციპებია. **შედეგების მნიშვნელობა:** ნამდვილად უკეთესი იქნება თუ საქართველოშიც სპეციალური ვერდიქტის სახეს შემოვიღებთ ნაცვლად ზოგადისა. ამ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულებს მოუწევთ მსჯელობა წმინდა ფაქტების შესახებ და ისინი შეძლებენ შექმნან ფაქტობრივი საფუძველი ისეთი ფაქტების გადაჭრისათვის, რომლებიც სამართლებრივი ხასიათისაა. სპეციალური ვერდიქტის ნაირსახეობის აპრობირება ქართულ კანონმდებლობაში ორ მიზანს ემსახურება: 1. ვიცით, რომ ისეთი პირებისათვის ვისაც არ გააჩნია იურიდიული განათლება ძალიან რთულია სამართლებრივი ნიუანსების გაგება, შესაბამისად ასეთი ვერდიქტის გადმოტანის შემთხვევაში ნაფიც მსაჯულები გათავისუფლდებიან კანონისა და მასში მოცემული ისეთი სამართლებრივი ცნებებისგან, რომელთა გაგებაც ნამდვილად მძიმე ტვირთად დააწვებათ მათ; 2. აღნიშნული ვერდიქტის სახეობა ფაქტიურად გამორიცხავს ნულიფიკაციის შემთხვევას, რაც უპირველეს ყოვლისა კანონის უზენაესობის პრინციპის გათვალისწინებით დაუშვებელია. სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს მიაწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის მართლმსაჯულება და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრას ყოველი შესაძლო უნდობლობის მაპროვოცირებელი გარემოება სასამართლო სისტემის მიმართ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საქართველოს კონსტიტუცია, დასაბუთებულობა.